განკარგულება:**გ-49. 49241807**
თარიღი:**28/06/2024**

ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა N4 ბინაზე ოქროპირ სვანაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 ივლისის #48-4824178105 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ თავმჯდომარის N 1/26 (მერიის N10/482416659-48) წერილი, რომელიც შეეხება აწგარდაცვლილი ქ. წყალტუბოს საპატიო მოქალაქის, ქალაქის გამორჩეული პედაგოგის, მრავალი საქალაქო ღონისძიებების და ლიტერატურული საღამოების ორგანიზატორის ბატონ ოქროპირ სვანაძის საცხოვრებელ ბინაზე მემორიალური დაფის გახსნას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად :

1. ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა N4 ბინაზე განთავსდეს ოქროპირ სვანაძის მემორიალური დაფა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი